№ 53
შაბათი, 11 მარტი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 53
თი, 11 მარტი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

**გაზეთის დასაგარეგლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ". განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## ტფილისის სობრანიე.

შაბათს, 11 მარტს, 1900 წ. გაიმართება

## კ ო ნ ც ე რ ტ ი
## კ. ფ. გურამიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ **ი. მ. მატკოვსკი** და **მ. ვ. სერბულოვი**. როიალი ბეკკერისა.

ბილეთები ისყიდება სობრანიეში. (4—65—4)

ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა აცნობებს თავისს წევრებს, რომ კვირას, ამა წლის 26 მარტისთვის, დანიშნულია **საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო**

### კ რ ე ბ ა,

დილის 10 საათზედ, ფოთის ქალაქის გამგეობის სადგომში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, 1899 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.

2, 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.

3, ერთის დირექტორის არჩევა.

4, საბჭოს ოთხის დეპუტატის არჩევა იმათ ნაცვლად, რომელთაც ვადა გაუვიდათ.

5, სარევიზიო კომისიის სამის წევრის და მათის კანდიდატების არჩევანები.

საზოგადოების წესდების მე 36 § ის თანახმად რწმუნების ქაღალდი საზოგადო კრებაში მონაწილეობის მიღებისა გამგეობას უნდა წარედგინოს სამის დღით ადრე კრებამდე, ე. ი. არა უგვიანეს 22 მარტისა. (3—6.—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის **მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6 დის.

**ბ. ბ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ.

**ა. ნ. მატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბიბთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და სასქესო—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი- მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ბ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## მთავრობის განკარგულებანი

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ქ მ ნ ა ყაზახის მაზრის სამმართველოს მდივნის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი კოლეჟსკი ასესორი კ ა რ გ ა რ ე თ ე ლ ი ამავე თანამდებობაში.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ქ მ ნ ე ნ ყარსის ოლქის პოსხოვსკის სამხედრო მართველობის ნაწილის თარჯიმანი კოლეჟსკი სეკრეტარი ს ა ვ ა ნ ე ლ ი და გელსკისა—ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ამ თანამდებობათა გაუქმების გამო.

## ახალი ამბავი

—

*** ტფილისის სავაჭრო-სამანუფაქტურო კომიტეტს უკვე შეუმუშავებია პროექტი სავაჭრო სკოლისა. ეს სკოლა აზრადა აქვთ ტფილისში დააარსონ. ამ სკოლაში უმთავრესად მოამზადებენ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათათვის ნოქრებსა და კანტორის გამგეთ. სწავლის ვადა სამი წელიწადი იქმნება. ჩვეულებრივ საზოგადო განათლების საგნებს გარდა სკოლაში ასწავლიან, სხვათა შორის, ბუჰალტერიას, საკომერციო გეოგრაფიას და სხვ. ამ სკოლაში სწავლა დამთავრებული სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებაში 5 წლის სამსახურის შემდეგ მიიღებს პირად მოქალაქის წოდებას. წელიწადში სწავლის ფასად თვითეულმა მოსწავლემ უნდა გადაიხადოს 60 მან. სკოლის შესანახად სავაჭრო გამგეობა ყოველ წლობით 1500 მანეთს გადასდებს. ამ პროექტს 27 მარტს წარუდგენენ განსახილველად ვაჭართა საზოგადო კრებას.

*** ამ წლის 12 მარტიდგან კუკიაში გაიხსნება კიდევ ორი სამრევლო-საეკლესიო სასწავლებელი, ერთი ვაჟებისა და მეორე ქალებისათვის.

*** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს ნატახტარის წყაროებიდგან წყალი გამოიყვანოს ტფილისისთვის. ინჟინერის ლინდლეის გამონგარიშებას, გეგმის შედგენასა და წყა-

## ფელეტონი

—

### დათიას ცოლ-შვილი

(ამბავი)

#### I

მალხაზო ხუთის წლისა იყო და მისი უმცროსი და იამზე სამისა, როცა მინდორში უსახურავობით გაციებული და სოფლის მკითხავ-ქადაგების რჩევით ერთის კვირის სავალზედ სალოცავად წასული, ავადმყოფი მამა მალხაზოსი დათია ხატის გზაზედ, თელეთის მახლობლად, გარდაიცვალა უწამლობა-მოუვლელობით. დათიამ თავისს ქვრივ-ობლებს ისეთი სიღარიბით გამოფხეკილი, პაწაწინა ქოხის ბუდრუგი დაუნარჩუნა, რომ ყანა-მინდვრის მეველეების მოხუხულავებულს ალაჩოხსა ჰგავდა. დათიასა და მის ძმებს კაი ქვითკირის დიდი დარბაზი დარჩენოდათ მამა-პაპისაგან ერთობაში, მაგრამ მოუსავლობის დროს ჩავარდნილიყვნენ ვიღაც სომხის ვაჭრის ვალ-ვახში და ფუტკრის ჟოლივით ნაბღარტ უსულღმერთო სარგებლის სარგებლებში იმათი დარბაზიც იმ ვაჭარს დაექცია და წაეღო თავის ორ-სართულიან სახლის მასალად, გაყრილ-გამოყრილი დათია და მისი ძმები კი საქათმესავით ქოხებსა და გომურებში შემძვრალიყვნენ თავიანთ ცოლ-შვილით.

ძმებთან გაყრის შემდეგ დათიამ ბევრი აწყვიტა თავი აქეთ-იქით წელმოწყვეტილ გველივით და მეტის-მეტ სხვათა მუშაობაში სულს ირთმევდა და ჯანს იგდებინებდა დღე და ღამ. ძალზედ სწყუროდა გროში გროშზედ დაედვა და პატარა ფიცრული, ან ქვიტკირის სახლი ჩაედგა თავისთვის, მაგრამ ისე მოკვდა საწყალი დათია, რომ გროშიც ვერ გადადო სახლის ასაშენებლად, რადგანაც ყოველ-წლივ ათასგვარი სახელმწიფო თუ სასოფლო-საზოგადო გარდსახადით სულ-შეხუთული, თავის უსულგულო მოვალეების ვალით ტყავ-გამძვრალი და ოჯახის აუცილებელ ჭირისა და ლხინის გასტუმრებით გაწყალებული იმდენსაც ვერ ანარჩუნებდა თავისს დღიურ თითო აბაზობით ნამუშავარს, რომ ნახევარზედ მშიერ-მწყურვალი ცოლ-შვილი ცარიელ მჭადით მაინც რიგიანად გამოეძღო ყოველ-დღე და მათი სიტიტვლეც დაეფარა.

გძელი სათქმელი სიტყვა რომ მოკლედ მოვჭრათ: დათიაც, როგორც დღესაც ქიზიყის გლეხკაცობის უმრავლესობა, მეტის გარჯა-შრომით წელებზე ფეხს იდგამდა, ყოველდღე დედამიწას ჭირის ოფლს აღვრიდა და მისმა კარგუნახავმა გულმა შობა-აღდგომის დღესაც არ იცოდა, სიხარული რა იყო და რას ერქვა, რადგანაც ყოველ დღე და ღამ და ყოველ წამ-წუთში გაჯოჯოხეთებული სისაწყლე-სიღარიბის ჭირ-ვარამიანს ბოლმა-დარდში და ლუკმა პურის შოვნის ზრუნვა-მოუცლელობაში ამოსდიოდა ტანჯული სული. ღმერთო უფალო, რა გაჭირვება, მწუხარება და ცხოვრების ათასგვარი ჭირვარამი არ გამოიარა საცოდავმა დათიამ უცოდო-მადლო ადამიანთა უსამართლობით, თუ თავის უცოდინობით, მაგრამ ესეც არ აკმარა წყეულმა ბედმა და ერთ კვირაში ორი მარწყვივით შვილი მოუკლა აუცრელობით ყვავილმა და საკმაო ფული რომ აღარავინ ასესხა, თავიანთ უკანასკნელი ქვეშაგები კიდევ მღვდელს მისცა გირაოდ წინ-გასაძღოლში და თითონ თავისს ცოლ-შვილით მიწად დაყრილს ბუჩოზედ იძინებდნენ უსახუროდ ჩაცმულები, ვიდრე ორორ შაურობით მოქუჩებულ ნამუშავრით ღვდლისაგან თავიანთ დაბრანძულ ხამ-ლაინის ქვეშაგებს დაიხსნიდნენ.

— ღმერთო! ცისა და ქვეყნის გამჩენო უფალო! ისმინე ჩემი ვედრება, შენი მადლისა და სახელის ჭირიმე, და ერთი მალე დამაღწივე მეცა ძაღლუმადლო ჯოჯოხეთის ცხოვრებას, რო ეგება საფლავში მაინც მოვისვენო სულითაც და ხორცითაც ძალზედ დატანჯულმა,—ხშირად იტყოდა ხოლმე ამ სიტყვებს მწუხარე სახით ზეცისაკენ თვალებ-აპყრობილი დათია და ბოლოს ძლივს ეღირსა საფლავში „მოსვენება" საცოდავს.

მოასვენეს თუ არა გადაკამარებულ ურმით ხატის გზიდამ მიცვალებული დათია, დათიას ქვრივმა ქეთევანმა ნახევარფასად გაყიდა თავისი უკასკნელი ავლადიდება: ერთი ვირი და ერთიც ბოხჩისოდენა ნაოჩხარი ვენახი და გაუმაძღარ მიწას მიაბარა ცოლ-შვილის საიმედო დედა-ბურჯი დათია.

გულის სიღრმემდის საბრალესი იყო დათიას ქვრივი ქეთევანი, რადგანაც ქეთევანის გათხოვილი ქალიც და ნათესავებიც გაწყალებული ღარიბ-ღატაკები იყვნენ, შველა-შემწეობას არავისაგან მოელოდა, არცარავინ მეორე ან მესამე ცოლად შეირთამდა წვრილ-ობლებიან ღატაკ-ულამაზო ქეთევანს, და ისევ თითონ უნდა ეშოვნა წლის-წლობამდის სარჩენი ლუკმა და საცმელ-სახური ობლებისთვისაც და თავისთვისაც. თუ კი ღმერთი სადმე სამუშაოს გამოუჩენდა ხოლმე ქეთევანს ცის მანანასავით, ისიც ზოგს ყანისა და ვენახის სამარგელში ჰშველოდა, ზოგს საცხობში, ზოგს საფქავის გაკეთებაში, ზოგს ურეცხავდა, უკერავდა, ჯანს და ღონეს იგდებინებდა სიღარიბით ძვალტყავად ნაქცევი და რასაც კი შოულობდა, მაშინვე გამომცხვარსა ჰყიდულობდა და თავისს მშიერს ბალღებისაკენ მიარბენინებდა პირში მკალია-დაჭერილ, ბღარტების დედა-ჩიტუნიასავით გახარებული.

შიმშილით დაყიმიტული პაწაწა იამზე და მალხაზო გაფაციცებით მისცვივდებოდნენ ხოლმე დედისაგან მოტანილ გამომცხვარს, დაობებულაყაჭებულ მჭადსაც კი ტკბილ ქადებსავით ჰქუმსავდნენ გულიანად და თან ტუჩების წლაპუნითა და პირის მტკბანურით გაიძახოდნენ ყმენდით:

— უჰ, უჰ, უჰ! სენი წილიმე, დედავ, ე ლა ტკბილი შაქალივით მწადები მოგვიტანე!

ამ სიტყვების გამგონ დედა-ქეთევანს გრძნობიერ გულიდგან ამომდუღარე ცრემლები სიბრალულისა გადმოსდიოდა და დედობრივის გულშტკივნეულობით ეუბნებოდათ ალერსიანად:

როზის გამოკვლევას დასჭირდება სულ 100,000 მანეთი. ეხლა ინჟინერს ოზიროვს ჯამგეობაში განცხადება შეუტანია, რომელშიაც ამბობს, რომ შეიძლება ეს ხარჯი 50,000 მანეთამდე იქმნას შემცირებულიო.

*** ქართლ-კახეთ იმერეთის სინოდის კანტორის პროკურორმა დაამტკიცა კანტორისა და ეგზარხოსის კანცელარიის მოხელეთათვის შემნახველ-გამსესხებლის კასსის წესდება. ამ წესდებაში მხოლოდ ზოგიერთი მუხლი იქმნა შეცვლილი და შესწორებული.

*** დღეს, 11 მარტს, ქუთაისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად საყურადღებო საქმე თავ. ივანე აბაშიძისა და სარდლო ჯამბატოვისა, რომელთაც ისა ჰბრალდებათ, რომ შორაპნის მაზრის მცხოვრების აზ. ყარამან აბდუშელიშვილის მოკვლა განიზრახეს. ყ. აბდუშელიშვილი დასჭრეს შარშან სოფ. ჭიათურაში.

*** „სავაჭრო-სამრეწველო გაზეთი“ აცხადებს, რომ ტყუილია ის ხმები, ვითომ მთავრობას განზრახვა ჰქონდეს ბაქოს ნავთის წარმოების საქმე სახაზინო მონოპოლიად გახადოსო.

*** რადგანაც ამ ბოლოს დროს გაცილებით მეტი შავი ქვა გააქვთ საზღვარ-გარედ, ვიდრე წინედ გაჰქონდათ, ამიტომ შავის ქვის მწარმოებელთა საბჭოს კრებამ შუამდგომლობა აღსძრა გზათა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ ჭიათურის შტოზედ, ჭიათურიდგან შავის ქვის გადასატანად, საქონლის მატარებლების რიცხვი გამრავლებულ იქმნას. გზათა სამინისტროს ყურადღება მიუქცევია შავის ქვის მწარმოებელთა შუამდგომლობისათვის და, როგორც გაზეთები იუწყებიან, ხარჯთ-აღრიცხვაში შეუტანია საჭირო თანხა ჭიათურის რკინის გზის შტოსათვის 6 ორთქლმავალისა, 55 ვაგონებისა და სამის მეორე კლასის ვაგონის გასაკეთებლად. იმავე საბჭოს შუამდგომლობის თანახმად, კავკასიის რკინის გზის გამგეობას შესაძლოდ უცვნია საღ. ფოთში ვაგონებში შავის ქვის უსასყიდლოდ შენახვის ვადა გადიდებულ იქმნას.

*** ქუთაისის მაზრის სოფ. დიმის მცხოვრებმა ბ-ნმა ტიებომ შეატყობინა მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს, რომ დაგითმობთ ჩემს მამულში მიწას ჩაის პლანტაციის გასაშენებლადაო.

*** ფოთი. სამშაბათს, 7 მარტს, ღამის $11^1/_2$ საათზე, ბ. საბახტარიშვილის ქარხნის კანტორას მიუხტა ვიღაც ავაზაკი, ოთხჯერ ესროლა რეკოლვერი კანტორის კარებს, მერე თვით კარიც შეამტვრია და მძიმედ დასჭრა საბახტარიშვილის ნოქარი ირანელი სირაძე. ხმაურობაზე გამოცვივდნენ საბახტარიშვილის მოჯამაგირეები, მაგრამ ავაზაკი ხელიდგან გაუსხლტათ. ეს ამბავი იმ წამსვე შეატყობინეს ფოთის პოლიცმეისტერის თანაშემწეს ს. ს. კახიძეს, რომელიც იმ წამსვე წავიდა ქარხანაში, გამოჰკითხა ყოველივე გარემოება დაშავებულს, შეიტყო საით გაიქცა ავაზაკი და იმავე ღამეს იპოვნა და შეიპყრო. დაშავებულის მორჩენის იმედი აქვთ ექიმებს. ავაზაკი აღმოჩნდა ოზურგეთის მაზრის მცხოვრები მოსე მასხულია, რომელიც ციხეში დაატუსაღერეს. საქმე გადაეცა გამომძიებელს.

*** სოფ. საჭყონიდო, (სენაკის მაზრა). ამ დღეებში ამავე სოფლის მცხოვრებმა ახალგაზდა კაცმა თავისი მეზობელი მოჰკლა თოფით. მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა ისა ყოფილა, რომ ამ ყმაწვილის დედას ჰყვარობდა თურმე მისი მეზობელი, რომელიც არა ერთხელ დაუთხოვნია თავისი სახლიდგან, მაგრამ ვერა გაუწყვია-რა. ერთს ღამეს კვლავ სწვევია ეს კაცი ახალგაზდა კაცის დედას. როცა სახლიდგან გამოსულა და რამდენიმე ნაბიჯი გადუდგამს, სახლის პატრონს უსროლია თოფი და იქვე მიწაზედ გაუგორებია თავხედი არშიყი. მკვლელი იმავე ღამეს მამასახლისთან გამოცხადდა და უამბო რაც მოხდა. ოქმი შეუდგინეს და გამოძიება სწარმოებს.

*** სოფ. მარტვილი, (სენაკის მაზრა). ს. მარტვილის ერთ უბანს ბოგაშს ეძახიან; იგი მდებარეობს მარტვილისა და დაბა ნაოღძლევის მახლობლად. მიუხედავად იმისა, რომ მარტვილს და ნაოღძლევში ცხოვრება სდუღს და გადმოსდუღს (თუ ეს ითქმის სოფლელთ ცხოვრებაზედ), ჩვენი ბოგაში კი უგზოობისა გამო ჯოჯოხეთურს წვალებაშია. ბოგაშელები გიქნებით 19 თუ 20 კომლი და ამ უგზოობამ ისე შეგვბოჭა, რომ სულ ერთიან მოგვაშორა რიგიან ცხოვრებას. ღამის არის სარწმუნოებაც დავჰკარგოთ, რადგან ეკკლესიაზე მისვლა შეუძლებელი გახდა. სკოლაში ბავშვების სიარულის წვალებას ნუღარ იკითხავთ. სარწმუნოდ მოგახსენებთ, რომ ჩვენი სკოლის შეგირდებს გათენება ეჯავრებათ უგზოობის გამო; სკოლაში წასვლელობის ნებას მშობლები არ აძლევენ, წავიდნენ და გზაზე ჯოჯოხეთური ტანჯვა უნდა გამოიარონ. რაც შეეხება მკურნალ-ფერშლების მოწვევას, ურჩევ აქაურებს, რომ ზაფხულამდე გადასდონ ავადმყოფობა, თორემ მკურნალს ვერ ეღირსებიან მანამდე. მგზავ ითქმის ბაზრის შესახებაც. ნეტავ მაინც ასე ძნელი იყოს ამ „ტლაპოს“ ამოვსება? სულ ადვილია, მხოლოდ შრომა და მონდომებაა საჭირო. გასაკეთებელ გზას ექმნება სიგრძე არა უმეტეს 70 საჟენისა; ამოდენავე მანძილის შემდეგ მთელი ზღვაა ქვისა და ქვიშისა. ვინმე რომ იყოს შემგონებელი, ორი-სამი დღის წამუშავებით გაკეთდება გზა.

*** ხუთშაბათს, 9 მარტს, პოლიციის მე-9 ნაწილში, იმავე ნაწილის მცხოვრებმა აზ. მარიამ მაჰავარიანისამ გამოაცხადა, რომ დარია ლიტვინენკოს მოსამსახურემ სიმონ ზურაბის ძე კოკულიამ, ჩემს სახლში არ ყოფნის დროს, მომპარა ვერცხლის ქამარი, ვერცხლის საათი, 2 ოქროს ბეჭედი, ერთი მათგანი ფირუზის თვალიანი, 4 ფოტოგრაფიული სურათი და სხვა ნივთები და სადღაც დაიმალაო. კოკულიას დასაჭერად და დაკარგულის ნივთების აღმოსაჩენად პოლიციამ უკვე საჭირო ღონისძიება მიიღო.

*** დაღესტნიდგან „ჩერ. ვესტ.“ ერთს მეტად უცნაურს ამბავს ატყობინებენ. იქ ერთს ქალს დაჰბადებია ბავშვი, რომელსაც ოთხი ხელი, ოთხი ფეხი და ორი კისერი ჰქონია თურმე.

*** 6 მარტს პოლიციის მე-9 ნაწილში ნაძალადევის მცხოვრების სარატოვის გუბერნიის, სერდობსკის მაზრის გლეხის ვასილ აბრამოვის სახლში მის შინ არ ყოფნის დროს ვიღაცა ბორისს, გვარი არ იციან, გაუტეხნია მისი ყუთი, მოუპარავს 44 მანეთად და 70 კაპ. ღირებული სხვა-და-სხვა ნივთები და სადღაც დამალულა. დამნაშავე და დაკარგული ნივთები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

*** 7 მარტს, საღამოს 8 საათზედ, პოლიციას დაუჭერია არშაკ ანტონოვი, რომელსაც პოლიციის მე-5 ნაწილში საზოგადოების ქუჩაზედ მცხოვრების აბამელიქოვისათვის ამ ორის კვირის წინად მოუპარავს სხვა-და-სხვა ნივთები, 150 მანეთად ღირებული. ამ საქმის შესახებ გამოძიება სწარმოებს.

---

## ქნ. ქ. ფ. გურამიშვილის კონცერტი.

დღეს, შაბათს, 11 მარტს, ტფილისის „სობრანიის“ დარბაზში გამართული იქნება ცნობილის მომღერალის ქალის ქნ. ქ. ფ. გურამიშვილის მიერ კონცერტი ბ-ნთა ი. მ. მატკოვსკისა და მ. ვ. სერბულოვის მონაწილეობით. ტფილისის საზოგადოების ყურადღება არა ერთხელ მიუპყრია ამ მომღერალ ქალს თავისის მოხდენილის და მეტად სასიამოვნო ხმით და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დღევანდელი კონცერტიც არა უფრო ნაკლებ ყურადღებას მიიქცევს, მით უმეტეს, რომ ჩვენს ნიჭიერ არტისტ ქალს ამოურჩევია ისეთი სასიმღეროები, როგორიცაა ცნობილი „Philemon et Baucis“ არია გუნოს ოპერიდან, „La Calandrina“ ჟომელლისა, არია „ლაკმე“-ს ოპერიდგან, Meine Liebe ist grün“ ბრამსესი, „Solveygs Lied“ გრიგისა და „ვალსი“ დელაკვასი. თითოეული აქ ჩამოთვლილი სასიმღეროები ფრიად რთულ ვოკალურ კომპოზიციას წარმოადგენს და, მაშასადამე, მათი ღირსეულად შესრულება მოითხოვს სასიმღერო ხმოვნების დიდს განვითარებას, ხელოვნების კარგად შესწავლას, ხმის ტეხნიკურად შემუშავებას, შემოქმედობითი ნიჭს და მომღერლის საფუძვლიან მომზადებას. ქნ. ქ. ფ. გურამიშვილის წარსული თავდებია მისა, რომ ყველა ჩამოთვლილი თვისებები მას უხვად მიმადლებული აქვს. ქნეინამ ყმაწვილობითვე გამოიჩინა დიდი ნიჭი მღერისა, იგი ყმაწვილობითვე დიდი მოტრფიალე და თაყვანისმცემელი იყო ხელოვნებისა და აქვე ტფილისში, სამშობლო ოჯახში, მიიღო საფუძვლიანი მუსიკალური განათლება. მაგრამ ნიჭიერი მომღერალი ამით არ დაკმაყოფილდა. როცა-კი საშუალება და მოცალეობა ხელთ იგდო, იგი დაუყოვნებლივ გადასახლდა ვენაში, სადაც ვენის კონსერვატორიის დირექტორისა და პროფესორის ფუქსის ხელმძღვანელობით ავარჯიშებდა თავისს ხმას. ვენის კონსერვატორიის დასრულების შემდეგ ქნეინა გურამიშვილისა გადავიდა პარიჟში, სადაც ორი წლიწადი დაჰყო, პირველ წლიწადს იგი მეცადინეობდა ცნობილის მომღერალის მარკეზის ხელმძღვანელობით, ხოლო მეორე წლიწად-კი მან დაჰყო გამოჩენილ მომღერალ ქალთან დეზირე არტოსთან.

სწავლის დამთავრების შემდეგ ამ მომღერლების რჩევით ქნეინა ქ. ფ. გურამიშვილისამ რამდენჯერმე მონაწილეობა მიიღო პარიჟის საოპერო დასის გამოჩენილ მომღერლებთან საქველმოქმედო კონცერტებში. პარიჟის საუკეთესო ჟურნალ-გაზეთობა დიდის აღტაცებით მიეგება „პრინცესს ყორყანის“ კოლორატიულ სოპრანოს და ყველა ერთ-ხმად დიდ მერმისს უქადდა მომღერალ ქალს. ქნეინა მართლაც საპატიო ადგილს დაიჭერდა პარიჟის მომღერალთა შორის, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ სულ მოკლე ხანში სამშობლო ქვეყანაში არ დაბრუნებულიყო.

ტფილისში დაბრუნებისთანავე ახალგაზდა მომღერალ ქალს ნაცნობნი და ნათესავები მოსვენებას არ აძლევდნენ, კონცერტებში მონაწილეობა მიიღო, მაგრამ იგი დიდის სიფრთხილით ეკიდებოდა ამგვარ წინადადებას. ნიჭიერი მომღერალი ქალი ხოლო დრო გამოშვებით ღებულობდა მონაწილეობას კონცერტებში, ისიც საქველ მოქმედო აზრით. მაგალითად, ქ-ნმა გურამიშვილისამ მიიღო მონაწილეობა 1897 წელს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართულ კონცერტში და დიდადაც ასახელა ეს კონცერტი. ადგილობრივი გაზეთები დიდის აღტაცებით მიეგებნენ მომღერალი ქალის ნიჭს. აი, სხვათა შორის, რას სწერს ამ კონცერტის შესახებ გაზ.

---

— მოგიკვდეთ, შვილო, უბედური დედა ქეთევანი, რო ემაგრე ძალზე მოგამშივათო!

მაგრამ ვაი მაშინ, როცა საბრალო ქეთევანი კვირის-კვირობამდე ერთის გროშის სამუშაოსაც ვერსადა ჰშოულობდა, ბალღები შიმშით ეხოცებოდა და იმათი შებრალება და ლუკმა პურით გაკითხვა არავინ იცოდა. ისე ჰქონდათ ქეთევანის ყველა მეზობლებს გული გაქვავებული და გატინებული, რომ როცა-კი ფეხშიშველა და თავშიშველა პატარა მალხაზო მეზობლის კარს მივიდოდა საცოდავათ ამოღუღული და გაუბედავ ხმა-კილოზედ ეტყოდათ: „დედამ დამაბარა ელთი პული გვასესხეთო“, „არ გვიძეს, ქაჯან, გამომცხვარიო“, ყველგან ამას ეუბნებოდნენ საწყალ მალხაზს. დედაკაცებიც და გოგოებიც მალხაზს გაბრუნების უმალვე გულ-ბრაზიან ტარუალასავით ჯიბრობდნენ და კაპასდებოდნენ ცხვირ-პირ აკლერსილნი ასეთი მკვახე-მკვახე სიტყვებით:

— ი, თვალიმც კი დაგიდგებათ და ყურიმც კი გამოგსქდებათ! ი, დამიფარე, ქა, რა ბედნას მიკიოტივით შემოგვძახებსყე წამდაუწუმ ეგ შავბნელი-შვილი: „დედამ დამაბალა: ელთი პული გვასესხეთო“, იტყვი ამბარი ფქვილითა გვაქს სავსე და ხვალვე ჩავასესხებთო!.. ი შავი ჭირი კი ეძგეროთ მაგათ გულყიას, რო გუშინდელ გამომძვრალ ლომპრიანებსაც კი გაკვრა-გაგლეჯაზე უჭირამთ თვალი!..

როდესაც კი ზამთარი დაილეოდა ვნებით სავსე ქალწულის ნაზ სხეულივით და გულის საამო ტურფანარნარ გაზაფხულის სული მოატანდა, საბრალო ქეთევანის მრავალტანჯულს გულსაც ცოტაოდენი შვება ეძლეოდა, რადგანაც ზაფხულობით ქეთევანი თავსაც და თვისს შვილებსაც ხშირად მხალით, ჰინჭრით, ბალბით, ხაჭიჭორით, არჯაკელით, სვინტრით, სატაცურით და სხვა თავის ხელით მოკრეფილ მთა ველ-მინდვრის ბალახით ჰკვებავდა. მაგრამ წყეულკრული ზამთარი-კი იმათ ჭირად დგებოდა: შიმშილით და უფრო მეტად სიცივე სიტიტვლით იხოცებოდნენ დედა-შვილნი ცხრილივით დაფაცხატებულ უცეცხლო ქოხში, რომელსაც ოთხსავ-კუთხივ ზმუილ-ზუზუნით შესდიოდა სუსხიანი ნიავქარი წნურის გამოულესავ ჭუჭუტანაფარღალალებიდგან. ქეთევანი ზამთარში უფრო ნაკლებად ჰშოულობდა სამუშაოსაც და ამისათვის სწორედ ჯოჯოხეთის ენით-გამოუთქმელი სატანჯველი-გეენია იყო ქეთევანისათვის ის ზამთრის საღამოები, როცა პატარა ანგელოზივით დახატული ცქრიალა იამზე და მოუსვენარი ცელქი მალხაზო დაწოლის ხანს გულ-საკლავ ტირილ-ქვითინით მოჰყვებოდნენ ხოლმე მამაო ჩვენ-სავით გაზეპირებულ ამ სიტყვებს:

— პული მსიან, ქააა! პული დედილოო, ქალილოოო! ლავქნა, ლა უყო, პული მსიან, ქააა!.. ეე! ალ გეყულება, ადამიანო, პული გვსიანქაა, პული!.. დაჟინებით გაიძახოდნენ. პურის ნამცეცებიც კი არსად ეგდო ქეთევანის სიღატაკით გამოფხეკილ ქოხმახში და თაგვებიც კი საიდღაც გამქრალიყვნენ, სასმუსნი რომ აღარა ჰქონდათრა.

პატარა იამზე-მალხაზოს ასეთი დაჟინებულ ტირილ-ძახილის დროს კერის ძირას საცოდავად მჯდომარემოღუღული ქეთევანი პირზე გამხდარდაჩხრიმლულ ხელებს იფარებდა და ისე ფულ-მწუხარედ და გულ-მდუღარედ ქვითინებდა და ისე საბრალოდ ცახცახებდა მთელის სხეულით იმ გულ-საკლავ, უსიტყვო ქვითინში, რომ იმ დედა-შვილთა სიბრალულით მათი მაყურებელი ქვაც კი სქდებოდა და ცრემლთა ნავუბრად იღვრებოდა. ბოლოს, როცა ქეთევანი გულს მოიოხებდა ხოლმე მწარე ქვითინით, თავის ობლებს ალერსიანის კოცნით და ამ სანუგეშო სიტყვებით აჩუმებდა:

— ეხლა კი დაიძინეთ, ჩემო ლამაზო-დახატულო, ცქვიტო-ცქრიალა გვრიტებო, დაიძინეთ, ტანჯული დედა გენაცვალოთ და თავ შემოგევლოთ, და დილაზე კი თავში ქვას ვიცემ, საცა არ იქნება თეთრს ბამბიქულასავით შოთებს გიშოვნით და გაგახარებთო. დედის ასეთის ტკბილის სიტყვა-ალერსით დაიმედებულნი და-ძმანი წვებოდნენ დაბრანძულდაკონკილს, შუა-ცეცხლის კომლით შემჭვარტლულს ხამ-ლაინის ქვეშაგებში და ჩაწოლის უმალვე ეძინებოდათ ტირილ-შიმშილით ჯანღონე გამოლეულ-მოქანცულებს, რომელთაც თვალთაგან გადმონადენი ცრემლები აკუნწლულ მარგალიტებივით უბჭყვრიალებდათ ანგელოზურ პატარა სახეზე.

წვებოდა მშიერ-მწყურვალი ქეთევანიც პატარა შვილების შუა, გვრიტის ხუნდებსავით იკრავდა აქეთ-იქით გვერდებში ნამძინარევს იამზეს და მალხაზოს და როდესაც ძღებოდა მათი კოცნა-სიყვარულით, სცდილობდა თითონაც დაეძინა და ცოტახნობით მაინც დაევიწყა სულ-გულის მტანჯავ ჯოჯოხეთურ ცხოვრების ჭირ-ვარამი, მაგრამ ამაოდ: საბრალო ქეთევანს შუაღამემდის თვალებზედ ძილი არ ეკარებოდა, სასოწარკვეთილების შავბნელი ბოლმა-ფიქრები თავს უხეთქავდა, გულში ჯოჯოხეთის გენია უდუღდა, მწარედ გულ-ნამტირალს განუწყვეტლივ ჩამოსწვიმდა თვალთაგან ცრემლები დედობრივის გულის ტანჯვა სიბრალულისა და ენით-გამოუთქმელი გოდება-მწუხარებისა. ზოგჯერ, როდესაც ქეთევანი ზღვასავით ამღელვარებულ ბოღმას უსიტყვო ცრემლთა დენით ვეღარ იკლავდა მძინარე შვილებ-შუა მწოლარე ღამის მიყრუებულ სიჩუმეში, ქვისაც ამტირებელ მოზარესავით გულ-საკლავად და გულსადაგად მოსთქვამდა დაბალ-ზუზუნა ხმაზედ სიტყვის ბოლო-გაგრძელებით შემდეგს:

— იი, მოგიკვდეთ, შვილო, უბედურ მასკვლავზე დაბადებული დედა-ქეთევანიიი!.. აბა რისთვინ გაგვაჩინა იმ დალოცვილმა ღმერთმააა, და აწ რაღათა ვარ ცოცხალი და რათ ვუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კავკასიის“-ს მუსიკალური განყოფილების მეთვალ-ყურე: „ქნ. გ. ფ. გურამიშვილისამ, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ამ კონცერტში, ერთიანად მოიხადირა მთელის საზოგადოების ყურადღება. მისი წმინდა, სასიამოვნო, ნაზი და სუბუქი, მშვენივრად შემუშავებული ხმა, მკაფიო დიქცია მსმენელებზედ მომხიბლავად ჰმოქმედებდა. მისი ხმის სიწმინდე, არა ჩვეულებრივი ტეხნიკა, დიდად ხელოვნურად განვითარებული გემოვნება აგონებდნენ მსმენელთ საუკეთესო ევროპის მომღერალთ, როგორიცაა, მაგალითებრ, პატტი, ნილსონი და სხვები. გარდაუმეტებლად შეგვიძლიან ვაღვიაროთ, რომ ტფილისმა შეიძინა ისეთი სრულიად დამთავრებულ და წარჩინებულ არტისტკანი, რომლითაც თვით სატახტო ქალაქებისა თვისვე იავმოსაწონებლად ჩაითვლებაო“.

მეორედ ქნეინა გურამიშვილისამ მიიღო მონაწილეობა წარსულ წელს ამავე საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ კონცერტში. ამ კონცერტის გამოც ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთობამაც დიდის ქებით აღნიშნეს მომღერალ ქალის ჭეშმარიტად საქები ნიჭი.

დიახ, ქნეინა გ. ფ. გურამიშვილისა წარსული და აწმყო ბრწყინვალეა და ვისურვებთ, რომ მომავალიც უფრო ბრწყინვალე ჰქონოდეს. ვისურვებთ ამასთანავე, რომ მომღერალის უხვად დაჯილდოვებულ ნიჭს ქართულ სიმღერებისათვისაც მიექციოს ჯეროვანი ყურადღება და ამით ქართული სიმღერების დროშა სახელოვნად აეფრიალებინოს.

როგორც გავიგეთ, ამ კონცერტის გამართვის შემდეგ ქნ. გ. ფ. გურამიშვილისას განზრახვა აქვს გამართოს თითო კონცერტი ბაქოსა, ბათუმსა და ქუთაისში. დავულოცავთ კეთილ განზრახვას ნიჭიერ მომღერალ ქალს, რათა ჩვენი თანამემამულეებიც დასტკბნენ იმ ტკბილის ხმით, რომელიც, როგორც „ივერიამ“ თავისს დროზედ სამართლიანად აღნიშნა: „ხან მეტად მინაზდებოდა ხოლმე და საამურ ჰანგებს ჩასჩურჩულებდა მაყურებლის ყურთასმენას, ხან რაღაც შემოქმედ ძალას შემოიხვეწდა და რაინდულის გაბედულობით დარბაზის სივრცეს მედგრად და თავმომწონეთ დასტრიალებდა, ხან თოფის სიფანტივით დარბაზის სივრცეში მარგალიტებრ იბნეოდა, ხან ნაზად და საამურად ჰკვნესოდა და მსმენელის მთელ არსებას ერთბაშად ჰხიბლავდა“.

ა. ყუმისთაველი

## უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ერთს ვიურტემბერგელს ვაჭარს შტოლბერგს, რომელიც სამი წლის წინად ტრანსვაალში გადასახლდა, ეხლანდელს ომში მონაწილეობა მიუღია და მდივნად ყოფილა ნემეცების რაზმში, რომელსაც შილი უფროსობდა. შტოლბერგი ამ დღეებში თავისს სამშობლო ქალაქში დაბრუნებულა და აი რა უამბნია გაზეთების კორესპონდენტებისათვის: „ტრანსვაალში, განსაკუთრებით ნემეცების წრეებში, გენერალ ჟუბერის სამხედრო ნიჭს ისე არ აფასებენ, როგორც ევროპაში. ის განსაკუთრებით არ უყვარსთ ნემეცებსა და ახალგაზდა ბურებს. ჟუბერი ჯიუტია და სასტიკი ხასიათისა, ის ზიზღით უყურებს სხვის რჩევას. ხმები დადის, რომ თავისი ნიჭის წყალობით კი არ ჩაუგდია მას ხელში უმაღლესი თანამდებობა, არამედ ნათესაობრივი დამოკიდებულებითო. იმასაც ამბობენ, რომ იმას კარგი განწყობილება ვერ აქვს დაბალ მოხელეებთან და შილის პირადი მტერი არისო. ბურების სარდლებში ყველაზედ უფრო ნიჭიერად ითვლება ბოტა, რომელმაც კოლენზოსთან გაიმარჯვა ინგლისელებზე, როცა ჟუბერი ავად იყო, აგრეთვე დიდ ნიჭიერ სარდლად ითვლება ლუკა მეიერი. როცა ელანდსლააგტესთან ბრძოლის დროს, რომელშიაც 90 ნემეციც იღებდა მონაწილეობას, ბურების საქმე ცუდად წავიდა, ბურები ნემეცებს აბრალებდენ თავიანთ დამარცხებას. როცა გაფანტული კორპუსი ისევ შეიკრიბა დანგაუზერში, იმის შემდეგ, რაც შილის რაზმი დამარცხდა, ჟუბერმა შემდეგი სიტყვებით მიჰმართა ბურებს:

„გმადლობთ, ძმებო, რომ თავი არ დაზოგეთ რესპუბლიკისათვის. ჩვენ არ გვინდა ისეთი აფიცრები, რომელნიც ორდენების გულისთვის იბრძვიან, არამედ ისეთი კაცები გვჭირდება, რომელნიც მხოლოდ რესპუბლიკის თავისუფლებისათვის სდებენ თავს. სხვათა შორის, სამხედრო წეს-რიგს თუ კარგად არა ხართ გაცნობილი, უმჯობესი იქმნება იოჰანესბურგში წახვიდეთ და იქ რამდენიმე ხანს უფრო გაიწვრთნებოდეთ“.

ამ სიტყვებმა დიდად აალელვა მთელი რაზმი, რადგან ის შენიშვნა, ვითომც ზოგიერთები ორდენებისათვის იბრძოდნენ, მხოლოდ შილს შეეხებოდა, ვინაიდგან მხოლოდ ის იყო ერთად ერთი აფიცერი, რომელსაც სხვა სახელმწიფოებში მიღებული ორდენები ჰქონდა. ის წინადადება, რომ იოჰანესბურგში შეგვიძლიანთ წასვლა გასაწვრთნელადო, მხოლოდ სიტყვის მასალად იყო ნახმარი, ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ კორპუსიდგან ბევრი ჯარის კაცი გავიდა. დარჩნენ მხოლოდ ისინი, რომელთაც არც რაიმე საქმე ჰქონდათ და არც ფული, მაგრამ, რაც თქმა უნდა, იმათაც ბრძოლის მოგების საქმე არ ასულდგმულებდა“.

— გაზეთების სიტყვით, ჯარები განუწყვეტლივ იგზავნებიან ინგლისიდგან სამხრეთ აფრიკაში. 8 მარტს ვოლონტიორებისაგან შემდგარი შვიდი როტა მიუყვანია ერთ გემს კაპშტადტში. იმავე დღეს დურბანშიაც მიუყვანია ორ გემს ჯარები ჰიბრალტარიდგან და მალტა-ბეიდგან. ამ დღეებში თურმე სამი დიდი გემი მიიყვანს კაპშტადტში ჯარებს და ამ თვეში ისე დღე არ გავა, რომ ან კაპშტადტში და ან დურბანში მაშველი ჯარები არ გადასვან ნაპირზე. ბრძოლის ველიდგან მოსულ სტატისტიკურ ცნობების მიხედვით, 9 ნოემბრიდგან მოყოლებული ვიდრე დეკემბრის გასვლამდის 70,066 კაცი მისულა სამხრეთ აფრიკაში, ახალ-წლიდგან მოყოლებული 8 მარტამდის— 50,000 კაცი. მაშასადამე, ომის დაწყებიდგან დღევანდლამდის სულ 120 ათას კაცამდის გაუგზავნია ინგლისის მთავრობას ბრძოლის ველზე.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრეფილი ამბები)

როგორც იაპონიიდგან იუწყებიან, ამ დღეებში იქ დიდი დღესასწაულები გაიმართება: იაპონიის მემკვიდრე პრინცმა ჯვარი უნდა დაიწეროს პრინცესსა სადაზედ. პრინცი ამ ჟამად ოცის წლისაა. იაპონიაში, ჩვეულებრივ ადრე ირთამენ ცოლებს, მაგრამ პრინცს დღემდე იმიტომ ვერ შერთეს ცოლი, რომ სუსტი ჯანის პატრონია და ხშირად ავადმყოფობდა. პრინცი იონხოხიტი იმპერატრიცის შვილი არ არის. იმპერატორს რამდენიმე ცოლი ჰყავს, ამათგან მხოლოდ ერთი ითვლება იმპერატრიცად და მემკვიდრეთაც იმისი შვილი უნდა იყოს. რადგანაც აწინდელ იმპერატრიცას შვილი არა ჰყოლია, მან მიკადოს მეორე ცოლის ვაჟი იშვილა და მემკვიდრედ დანიშნა. მემკვიდრე პრინცს კარგი განათლება აქვს მიღებული. ფრანგულსა და ინგლისურს ენაზედ კარგად ლაპარაკობს. პრინცესსა სადაკუიო იაპონიის უწარჩინებულესის გვარის შთამომავალია. ამ გვარს შვიდიდგან მეთერთმეტე საუკუნემდე დიდი გავლენა ჰქონდა. იმპერატორები მაშინ ამ გვარის წარმომადგენელთა სურვილს ვერ გადაუხვევდნენ ხოლმე. პრინცესსა, ვიდრე დაინიშნებოდა, ეგრეთ წოდებულ „იმპერატრიცას სკოლაში“ სწავლობდა, დანიშვნის შემდეგ კი კერძო მასწავლებლები მიუჩინეს. პრინცესსა მშვენიერ ლექსებსა სწერს თურმე. მომავალ იაპონიის იმპერატრიცის მზითვად გადადებულ იქმნა 1,200,000 მანეთი. ამ ჟამად მემკვიდრესათვის ტოკიოში ახალ სასახლეს აგებენ. ეს შენობა რამდენსამე მილიონ მანეთად დაჯდება.

* * *

ლონდონში კატებისა და ძაღლებისათვის განსაკუთრებული სასაფლაო აქვთ. ეს სასაფლაო მოთავსებულია ჰაიდ-პარკში ამ ჟამად იქ უკვე 80 კატა და ძაღლი მარხია. თვითეულ საფლავს მშვენიერი ქვა აძევს შესაფერის ზედ წარწერით. სასაფლაოს თავისი დარაჯი ჰყავს. თითო ადგილი იქ შვიდი შილინგი და ექვსი პენსი ჰღირს. ზოგიერთ საფლავზედ უცნაური წარწერაა თურმე. აი, სხვათა შორის, ერთი წარწერა: „აქა განისვენებს ჩემი საყვარელი, ცუგრუმელა კატა ხივხილა. განსვენებული 1895 წელს 31 ივლისს მოიწამლა. შენი ერთგული ქალბატონი ელენე“. სახელი ელენე ბერძნულის სიტყვებით არის დაწერილი, ქვეშ ეგვიპტურ იეროგლიფებითა აქვს რაღაცა მიწერილი. კატას, როგორც ვუწყით, ძველი ეგვიპტელნი წმინდა ცხოველად სთვლიდნენ, ქ-ნ ელენეს ეს იეროგლიფები იმიტომ დაუწერია. აი მეორე წარწერაც: „სახსოვრად კეთილ და დაუვიწყარ ჯესსის მ. კ. ტროტტერისაგან. განსვენებული დაიბადა ლინტლოუ ბერვიკშაირში 1885 წ., ნოემბერს, გარდაიცვალა ლონდონში 1897 წელს, 13 ივლისს“. საფლავზედ პატარა ჯვარია ამართული (?). მესამე საფლავზედ აწერია: „ჩემო საყვარელო დოლლი! ჩემო მზის სხივო! ჩემო ნუგეშო და სიხარულო! 1892—189. ს. ხ.“ მეოთხე საფლავზედ: „პატშ. ჩემი საუკეთესო მეგობარი და 13 წლის განმავლობაში ერთგული ამხანაგი. საწყალი ძალიან იტანჯებოდა და იმათ, ვისაც იგი ყველაზედ მეტად უყვარდა, საიქიოს გაისტუმრეს“. როგორც სჩანს, ეს საწყალი პატაში ძალიან ავად ყოფილა და განგებ მოუწამლავთ ან მოუკლავთ. მეხუთეზედ: „პატივის ცემის ნიშნად ორ საყვარელ კატას: ბებეს, გარდაიცვალა 1896 წ., 15 სექტემბერს, დაბადებიდგან 12 წლისა, და სამს (ბებეს დის წულს), გარდაიცვალა 1897 წელს, 3 ივლისს, დაბადებიდგან 8 წლისა. მისტერ და მისტრის ლოგტონკოოტს“. მეექვსეზედ: „სახსოვრად ჩემ პატარა მეგობრებს: დაუვიწყარ ბუნდს, გარდაიცვალა 1891 წელს, 12 წლისა; საყვარელ ტოტის, გარდაიცვალა 1896 წელს, 17 წლისა; ძვირფას პინს, ტოტის შვილის შვილს, გარდაიცვალა 1897 წელს, 14 წლისა. ა. ე. კ.“

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 მარტი

**პეტერბურგი.** 8 მარტს გარეშე საქმეთა მინისტრს წვეულება ჰქონდა სადილად, რომელზედაც მათი უდიდებულესობანი ბრძანდებოდნენ.

9 მარტს მათი უდიდებულესობანი პავლოვსკის სამხედრო სასწავლებელში მიბრძანდნენ.

8 **ლონდონი.** ბლუმფონტეინიდგან მარტს რობერტსის მიერ გამოგზავნილი დეპეშა იუწყება: რადგან ბურგერების დიდმა ნაწილმა სურვილი განაცხადა დავენებდნენ უკანასკნელ პროკლამაციაში აღნიშნულ პირობების თანახმად, მცირე რაზმები გავჰგზავნე სხვა-და სხვა კუთხისაკენ, რათა იარაღი ჩამოართვან მათ. შემდეგ იუწყება რობერტსი, რომ კლემენცის ბრიგადა მოდის ფილიპოლისზე და ფორემიტზე გამოვლით ბლუმფონტენისა და ლობატსისაკენ. ბურების ძლიერი ჯარი მეფკინგიდგან მოდის სპიმანის უფროსობით ლობატსისაკენ. გუშინ ყუმბარამ მოჰკლა პორუჩიკი ტაილერი, რომელიც პლუმერის ჯარში იყოო.

**ლორენცო-მარკეზი.** „Diggers News“-მა შემდეგი ამბავი მიიღო პრეტორიიდგან, 4 მარტს გამოგზავნილი: „2 მარტს ტრანსვაალის დასავლეთ საზღვარზე ლობატსის მხარეს ბრძოლა მოგვიხდა მტერთან. ინგლისელები სისწრაფით გარბოდნენ რაბუტსის ბანაკისაკენ. ბურებს არა დაუკარგავთ-რა; ტყვედ წაიყვანეს ოთხი ინგლისელი, დაინარჩუნეს პატრონებით სავსე 15 ყუთი, თოფები და ცხენები“.

**კოპენჰაგენი.** ლანდსტინგი. ხარჯთ-აღრიცხვას პირველად კითხულობენ. სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ, პოლიტიკურ მდგომარეობის მიხედვით, გირჩევთ შეიწყნაროთ სამხედრო ბიუჯეტიო.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“ მიერ მიღებულ ცნობებით, ლაბოტსისთან ბრძოლის დროს 2 მარტს ბურები დიდის ზარალით დევნილ იქმნენ.

**პეტერბურგი.** გუშინ „ჯარისა და ფლოტის საკრებულოს“ დარბაზში, 1000 კაცის თანადასწრებით, მთავარშტაბის პოლკოვნიკმა არტამონოვმა წაიკითხა საყურადღებო ლექცია ამ სათაურით: „ბურები და ინგლისი“. ლექტორმა, რომელიც სამხრეთ-აფრიკაში ყოფილა და ბურებს იცნობს, აღწერა ადგილ-მდებარეობა და ომის მსვლელობა ბოლოს დრომდე და განაცხადა, რომ ბურებს იმდენი ჯარი კიდევ დარჩათ და იმგვნად შესწევთ ღონე, რომ დამოუკიდებლობას დაიცავენ ინგლისელებისაგან, თუ ერთობა და მხნეობა არ დაჰკარგეს, როგორც აქამდე იქცეოდნენო. საზოგადოებამ ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვა ლექტორი.

10 მარტი

**კრონშტადტი.** ბეტულიაში ბურებმა დაამარცხეს გენერალი გატეკრი. ინგლისელები განდევნილ იქმნენ დიდის ზარალით. ბურებმა ბევრი ტყვე წაიყვანეს.

**კრონშტადტი.** ბურებმა, ოლივიეს უფროსობით, ბრძოლა აუტეხეს გატეკრის ჯარს ბეტულიის მახლობლად, ამასთან ინგლისელები დამარცხდნენ და დიდად დაზარალდნენ. ბურებმა მრავალი ინგლისელი წაიყვანეს ტყვედ. ბურები აქ დიდ ჯარს უყრიან თავს. გუშინ მოვიდა აქ ჯარის უფროსი დევეტი.

**პრეტორია.** პრეზიდენტი კრიუგერი ორანჟეს რესპუბლიკიდგან კვირას დაბრუნდა.

გატეკრონესთან მცირე ბრძოლა მოხდა.

**პარიჟი.** პრეზიდენტი ლუბე მონტელიმარში წავიდა დედის სანახავად.

**სოფია.** „Agance Bulgare“-ს სიტყვით, სიმართლეს მოკლებულია საზღვარ-გარეთ გავრცელებული ის ხმა, ვითომ ამას წინად რუსეთსა და

ყურებ მე თვალ-დამდგარი თქვენს შიმშილ-ტანჯვას, ჩემო ტანჯვით ნაშობნო სისხლნო და ხორცნოოო, ჩემი ძუძუ-რძითა და წვითა და დაგვით გაზდილნო პატარა შვილო იამზე და მალხაზაოოო!.. რა გვქონდა, შვილო, იმ დალოცვილ ღმერთთან ისეთი შანაცოდარი, რო მაცხოვრებელი მამა მოგიკლათ და ჩაგვყარა ამ ჯოჯოხეთის სატანჯველ გეენიაშიიი!.. დაილოცოს ღვთის სამართალი, რატო მე არ მომკლა ჩვენი სიყვარულით შამნახავი დათიას წინ და ან მაშინ იმ საზარელი დღის მნახავი, როცა დავაჟკაცებული, პირველი შვილი ტიმოთე მინდვრიდამ მკვდარი მომგვარეს კუბოში ჩასვენებულიიი!.. როცა ის გულის საყვარელი და დედ-მამის იმედი-შვილი დავმარხეთ ულმერთო ყაჩაღებისგან გულში თოფ-მორტყმული და ჩემი გულიც თან ჩავაყოლე სამუდამოდ საფლავშიიი!.. იტირეთ, იტირეთ, თქვენც იტირეთ ჩემთან, ჩემო დამჭკნარო ძუძუებოოო, თქვენი რძით გაზდილი, საყვარელი შვილი ტომითე აღარა მყავს, შავმა მიწამ შაიჭამააა!.. ღმერთო, ღმერთო უფალოოო, რატო ის ჯოჯოხეთი, ის ცეცხლი, ის ტანჯვა და გენია არ მაკმარე უბედურ დედას და ეგეთი გაუნელებელ ცეცხლსა და გენიაში რაღათ ჩამაგდეშე დალოცვილოოო; და თუ ჩამაგდე, რატო შენ გაჩენილსა ქაჯ-ეშმაკების ქვეყანას ადამიანის გული მაინც არ მიე, რო ათასში ერთხელ მაინც შაჰბრალებოდათ ჩემი უპატრონო და უშამწეო, შიშველ-ტიტველა წვრილი ობლებიიი, და ამათ შიმშილ-საცოდაობას აღარ ვუყურებდე მე სულითაცა და ხორცითაც ძალზე დატანჯული და წამებული დედა-მშობელიიი!.. ვიჰ, ვიჰ! ვაი ჩემს თავს, ვაი!.. აბოლოვებდა ამ სიტყვით ქეთევანი ქვისაც ამტირებელი თავის მოთქმა-ტირილს და ბოლოს ტირილით გულ-მოწყვეტილს და ღონემიხდილს მკვდარსავით ეძინებოდა ბ იმ მწარე-მოუსვენარ ძილშიაც სულ რაღაცას ჰბოდავდა, ჰკვნესოდა, ოხრავდა ჰგმინავდა გულ-მწუხარედ და საცოდავად სამარის სიჩუმით მოცულთ ღამის წყვდიადში, როდესაც პაწია იამზე-მალხაზოს ღრმა-ტკბილის ძილით ეძინათ და ჩვეულებისამებრ ტირილით ველარ დაუწყებდნენ დედას ასეთ გამოკითხვას: „ლა გატილებს, დედილო!.. ლათა ჰტილი, ქალილო!..“

ო, ზეციერო მამაო, მხოლოდ შენმა სასამოთხე-საჯოჯოხეთოდ განმამართლებელმა გულთამხილაობის ყოვლის ცოდნა-მხედველობამ უწყის, თუ ქვეყნის დასაბამიდგან დღევანდლამდე რაოდენ უანგარიშო ადამიანთა ცრემლი ტანჯვა-მწუხარებისა ღვრილა და იღვრება დღე და ღამ შეუწყვეტლივ მთელს ცას ქვეშეთ ქვეყნიერობაზედ!.. ვინ იცის, იქნება ჰორაციოს მეცნიერებას ჯერ სიზმრათაც არ მოჰლანდებია, რომ შეიძლება მლაშე ზღვანი ქვეყნისანი ბედშაობა-უსამართლობისაგან გულ-ანატირ ქვეყნისავე მწარე და მლაშე ცრემლთა მდინარებისაგან იყვნენ შემდგარნი მილიონ წელიწადების განმავლობაში და ქვეყნის ცრემლის ზღვაზედ დაცურავდნენ გემები და ადამიანები...

დ. მაჩხანელი

ბოლგარიას ხელშეკრულება დაედოთ, რომლის ძალითაც ბოლგარიამ რუსეთს იჯარით მისცა 50 წლით ბურგასის ნავთ-სადგურში ადგილი ნახშირის საწყობის გასამართავად და ვითომ ხელშეკრულებაში ისეთი პირობებია, რომელსაც შეიძლება არასასურველი შედეგი მოჰყვესო.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთებს ატყობინებენ დურბანიდგან 8 მარტს, რომ, როგორც იუწყებიან, ბურებს პოზიცია ბიგგარსბერგთან სრულიად გადაუწვავთ. ბურებს ძლიერი პოზიცია უჭირავთ გორაზედ, რომელიც პამროებს დაჰყურებსო.

საღამოს გაზეთები იუწყებიან, რომ რობერტსმა სამშაბათს უცხო-ქვეყნელ სამხედრო აგენტების პატივსაცემად ნადიმი გამართა, რომლის შემდეგ გამოუცხადა მათ, რომ მალე შეძლება მომეცემა პრეტორიაში გაგიმასპინძლდეთო.

**ჰააგა.** როგორც „რეიტერის სააგენტოს“ გაუგონია, ნიდერლანდიის მთავრობას შეუთვლია კრიუგერისა და შტეინისათვის შუამდგომლობის შესახებ თხოვნის საპასუხოდ, რომ ინგლისის მთავრობის ფორმალურ განცხადების შემდეგ, ნიდერლანდიის მთავრობას, სამწუხაროდ, არ შეუძლიან რესპუბლიკების თხოვნა შეასრულოს, მაგრამ მხარს დაუჭერს ყველა დაწყებულებას, რომელსაც საომ ზავის ჩამოგდება ექმნებაო.

**ლონდონი.** „Times“ ს ბლუმფონტეინიდგ ნ ატყობინებენ 22 მარტს, პრეზიდენტმა კრიუგერმა 21 მარტს პროკლამაციაში გამოაცხადა, რომ ორანჟის რესპუბლიკა ტრანსვაალს შეუერთდაო, ამავე დროს შტეინი კონტრ-პროკლამაციაში აცხადებს, რომ ორანჟე ცალკე რესპუბლიკას შეადგენსო.

„Daily News“ ს სპრინგფონტეინიდგან ატყობინებენ 21 მარტს, რომ გატეკრი შტაბით ჯერ კიდევ აქ არისო.

### წერილი ბ-ნ ი. ჭყონიას მიმართ.

გაზეთ „მეურნის“ 1895 წ. მე-22 №-ში მოთავსებული იყო მეთაური წერილი ნ. მკურნალისა ამ სათაურით: „დავაარსოთ სამეურნეო იაფ წიგნების გამოსაცემად თანხა“. ბ-ნმა მკურნალმა აგვიწერა უკიდურესი მდგომარეობა ჩვენის მეურნეობისა და მოგვმართა მიგვებაძნა განათლებულ ერთათვის, ძმურად ხელი მიგვეწოდებინა ერთმანეთისთვის და ყველას, ვისაც შეეძლო ნათლად წარმოედგინა ის სარგებლობა, რასაც მოუტანს საქართველოს სამეურნეო ცოდნის ხალხში გავრცელება, დაგვეარსებინა „მეურნის“ რედაქციასთა თანხა სამეურნეო წიგნების გამოსაცემად და ამისთვის მიგვეწვდინა წვლილი. ამ გარემოებამ მიიქცია ყურადღება ზოგიერთებისა და მათ შემწეობით შესდგა თანხა, როგორც მახსოვს, სამას მანეთამდე, მაგრამ, საუბედუროდ, დღემდის არ ვიცით, რა სარგებლობა მოიტანა ამ ფულმა, გამოსცეს თუ არა წიგნები. ამიტომ უმორჩილესად ვსთხოვ „მეურნის“ რედაქტორს, ბ-ნ ი. ჭყონიას, გაგვაგებინოს „ივერიის“ შემწეობით, რა მოუვიდა ამ ფულს...

ერთი შემომწირველთაგანი

### შემოწირულება

შარშან „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ“ გამართულ ბაზრობას შესწირეს: მან. ლაღიძემ—1 მანეთი, ვიქ. გოცირიძემ—30 კაპ., კ. ჯაშიმ—20 კ., ლ. ასათიანმა 20 კ., წ. ქიათავამ—20 კ., გ. ლოსაბერიძემ—10 კაპ. და ვასილ ცხომელიძემ—3 მან. რადგანაც ეს შემოწირულება თავისს დროზედ გამოგვრჩა შემოწირულებათა სიმრავლის გამო, ამიტომ ეხლა ვბეჭდავთ. „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობა ყველა ამათ შემომწირულებითვის მადლობას სწირავს.

### წერილი რედაქციის მიმართ.

ვიღაც „გულ-შემატკივარი“ ძლიერ ესაყვედურება ამა წლის „კვალის“ მეორე ნომერში შავი ქვის მწარმოებლების საბჭოს შემდეგის სიტყვებით: „ახალი წლიდგან შავი ქვის მწარმოებლების საბჭომ დააარსა წიგნთ-საცავი და სამკითხველო; ალბად თავისათვის, თორემ მუშებისათვის რომ დაეარსებინა, ხომ იქ არ გაადებდა, სადაც არც ერთი მუშა არ სცხოვრობს... საბჭოს კარგი ვერ მოსვლია, რომ შესაფერი ალაგი ვერ აღმოურჩევია სამკითხველოსათვის“.

სწორედ ძლიერ გვიკვირს, რამ აიძულა ბ-ნი გულ-შემატკივარი და ან რა სიმართლეზე ამყარებს იგი თავისს საყვედურს? რომელი ალაგი სჯობია სამკითხველოსთვის, ერთი გვიბრძანეთ, ბ-ნო გულ-შემატკივარო? შუა ბაზარში ხომ არ გნებავთ, იქ, სადაც, ყოველ კვირა დღეს „მკლავაძეთა“ ლოთობა და ქეიფია, მერე-კი ხანჯლების ტრიალი, სისხლის ღვრა და მრავალი სხვა ამ გვარი უწესოება ხდება? ნუ თუ შესაძლებელია, რომ ბაზარში ივარგოს სამკითხველომ, სადაც ადვილი მოსალოდნელია, რომ ღვინით შეზარხოშებული ვაჟ-ბატონები შემოვიდნენ და, ვინ იცის, რა უწესოება ჩაიდინონ?!

შემდეგ ბ-ნი გულ-შემატკივარი ბრძანებს: „კარგი იქნება საბჭო სადმე ბაზრის მახლობლად დაიქირავებდეს სახლს სამკითხველოსათვის, სადაც უმრავლესობა მუშე ისა სცხოვრობს და ღვინოში იღრჩობიანო“. ბ-ნო გულ-შემატკივარო! სამკითხველო თუ ბაზრის მახლობლად არ მიგაჩნიათ, მაშ რამდენი ვერსტით არის იგი ბაზარზედ დაშორებული? ვინ არ იცის ჭიათურაში, რომ ეხლანდელი სამკითხველო არც ერთისა და არც ნახევარის ვერსის სიშორეზედ არ არის ბაზრიდამ? იგი მშვენიერ, სუფთა და ყველასათვის ადვილად მისასვლელ ალაგას არის, სადაც არავითარი უწესოება ხელს არ შეუშლის მკითხველებს, რაიცა შეუძლებელი იქნება შუა ბაზარში. ამაზედ უფრო მოხერხებული და შესაფერისი ადგილი სამკითხველოსათვის ჩვენ არ გვიგულება მთელს ჭიათურაში. ამიტომ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ თქვენ მიერ „კვალში“ წარმოთქმული საყვედური ჭიათურის შავიქვის მწარმოებლების საბჭოსა და სამკითხველოს შესახებ უსაბუთოდ მიგვაჩნია. რაც შეეხება თვით სამკითხველოს, იგი თან-და-თან მდიდრდება ჟურნალ-გაზეთებით. მაგალითად, მას მოსდის: „Вѣстникъ Иностранной Литературы“, „Новый Жур. Иност. Литературы“, „Міръ Божій“, „Живописное Обозрѣніе“, „Недѣля“, „Русскія Вѣдомости“, „С.-Петербургскія Вѣдомости“, „კავკასი“, „ტფილისის ფურცელი“, „ივერია“, „მოამბე“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, და სხვა. კიდევ ბევრია გამოწერილი, რომლებიც ამ ცოტა ხანში მოუვა. მადლობის ღირსია სამკითხველოს მხრივ შავის ქვის მწარმოებლების საბჭო და არა საყვედურისა.

„ა—ლი“.

## განცხადებანი


ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 15 მარტს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის წყლის მილის გამგისათვის ავჭალაში სახლის აგებისა და საცხოვრებელ სახლის შეკეთების საქმე, სულ 5653 მანეთისა და 16 კაპეიკისა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე. (3—6.—1)

ჩერქეზული ჩოხების მკერვალი

ვანო გაჩეჩილაძე

წოდიანოვის სახლებიდგან გადავიდა თამამშოვის სახლებში, ბაზრის ქუჩაზედ, სახლ. № 16. შეკვეთილ საქმეს ასრულებს სუფთად, იაფად და დროზედ.

ვანო ანთიმოზის ძე გაჩეჩილაძე

(1—72—1)

ტფილისის საკომერციო სასწავლებლის

სამზრუნველო საბჭო

სთხოვს იმათ, ვისაც ჰსურს მიჰყიდოს საბჭოს ადგილი, ზომით 1000-დგან 2500 ან მეტ ოთხ-კუთხ საჟენამდე საკომერციო სასწავლებლის შენობისათვის, წერილობით განცხადება შეიტანოს საბჭოს კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა, № 1) 1 აპრილამდე. განცხადებაში ფასიც უნდა იყოს აღნიშნული.

(8—6.—4)




(50—267—13)

**რადგანაც განვიზრახე მოვსპო სამეურნეო მანქანებით ვაჭრობა, აგრეთვე გავაუქმო მაღაზია,** რომელიც მიხეილის პროსპექტზედ, №№ 79-ა და 79-ბ, საკუთარ სახლშია, ამიტომ ვნიშნავ 6 მარტისათვის საბოლოო ვაჭრობას ყველა ნივთებისას. გაიყიდება შემდეგი ნივთები: წყლის ამოსაღები, სანიავებელი, ხორბლისა და ბამბის საწმენდი მანქანები, გუთნები, ღვინის საწურავები, სამკალი მანქანები, ტყავის ნაწარმოები, დანები, მაკრატლები, ლამფები და სხვა.

ყველა ნივთები ნაღდ ფულზედ გაიყიდება, საფქვავ და თვით-მოსიარულე ომნიბუსის გარდა, რომლების ფასიც შეიძლება მყიდველმა ნაწილ-ნაწილ შემოიტანოს.—მაღაზია, საწყობი და სარდაფი ქირით იძლევა.—აზრადა მაქვს შემდეგში მხოლოდ იჯარები ავიღო და მსურველთათვის მანქანები და სხვა და სხვა საქონელი გამოვიწერო. ჩემი კანტორა მოთავსებული იქმნება ჩემის სახლის ეზოში მიხეილის პროსპექტზედ.

(10—6.—6) გ. ა. კრაუზე.

წერა-კ. საზ. და სს. მაღაზიებში ისყიდება ახალი წიგნი, შედგ. რუსულს ენაზე მ. ჯანაშვილის-მიერ

Царица Тамара

(თამარ მეფე)

შინაარსი: მოკლე განხილვა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა თამარ მეფის ეპოქამდე. ისტორია თამარ მეფისა. დამატება—პალეოგრაფიული ნიმუშები: ნიმუშები ქართულის წერისა მე-VII—XII საუკ. (სულ 20 №-რია): ხელმოწერილობა თამარ მეფისა, მისის მამის გიორგი III, ქმრის დავით მეფისა, შვილის გიორგი ლაშისა, კათალიკოზის თეოდორესი, ჭიაბერისა, შოთასი (რუსთაველი?), და სხ. წიგნის სათაურს ჩართულია თამარ მეფის სურათხატი. პალეოგრაფიული ნიმუშები დაბეჭდილია სქელს ქაღალდზე, და უამნიმუშებოთ წიგნი შეიცავს 128 გვ. და ღირს 50 კ.

იქვე ისყიდება იმავ ავქსორის შედგ. წიგნები: Грузинскія обители внѣ Грузіи (ფ. 25 კ.), Исторія груз. церкви (ფ. 40 კ.) და ქართული მწერლობა მეათე საუკუნემდე (ფ. 40 კ.).

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ 20 მარტს, შუადღის 12 საათზედ, იმის თანადასწრებით,

მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაცემული იქმნება ოთხი დუქანი. ეს დუქნები ბაზრის ქუჩის ბოლოშია, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე 9-დგან 2 საათამდე. (3—6.—3)


## ბალანსი სამეურნეო ბანკისა

1 მარტისათვის 1900 წლისა.

**აქტივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) . . | 12342 | 46 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . . . . . . . . . . | 226 | 63 |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში . . . . . . . . . | 124 | 54 |
| IV. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი. | 5679 | 95 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . . . . . . . | 3121 | 38 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი . . . . . . . . . . . | 240724 | — |
| VII. განაღდ. სარგებლიან ქაღალდ., კუპონებ. და სხ. | 2841 | 07 |
| VIII. პროტესტში წასული თამასუქები . . . . . | 200 | — |
| IX. გირაოთი გაცემული სესხი: | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . . 8363—62 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 38842—60 | | |
| გ) საქონელზედ . . . . . 30009—50 | | |
| დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 5921—25 | 83136 | 97 |
| X. დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . . . | 143 | 28 |
| XI. მოწყობა-მომართვა . . . . . . . . . | 2000 | 48 |
| XII. კორესპონდენტები მათის ანგარიშით (loro) . . | 2726 | 33 |
| XIII. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი . | 177 | 60 |
| XIV. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . . . . | 327 | 30 |
| XV. გარდასაცემი თანხა . . . . . . . . . | 434 | 18 |
| XVI. მიმდინარე ხარჯი . . . . . . . . . | 3122 | 84 |
| სულ | 357329 | 01 |

**პასსივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 775 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან. . . . . . . . . . . . . | 80226 | — |
| II. სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს). | 3243 | 11 |
| III. შემოტანილი ფული: | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით . . . . 83609—17 | — | — |
| ბ) ვადით . . . . . . . . 160632—— | | |
| გ) უვადოდ, . . . . . . . . 1000—— | 245241 | 17 |
| IV. გარდასაცემი თანხა . . . . . . . . . | 2656 | 43 |
| V. გარდასახდელი სარგებელი . . . . . . . . | 1706 | 95 |
| VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . . . . . . . . . . | 2 | 85 |
| VII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და 13 §§-ის თანახმად. | 300 | — |
| VIII. კორესპონდენტები ჩვენის ანგარიშ. (nostro). . . | 1091 | 73 |
| IX. განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში აზოვ-დონის საკომერციო ბანკის ტფილისის განყოფილებაში, უზრუნ.-ყოფ. თამასუქებით . . . . . | 1 | 38 |
| X. განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში ტფილისის საკომერც. ბანკში, უზრუნ.-ყოფ. %-იან ქაღალდ. | 10000 | — |
| XI. 1898 წ. წაუღებელი დივიდენდი . . . . . | 1469 | 84 |
| XII. მიღებული სარგებელი . . . . . . . . | 4497 | 75 |
| XIII. 1899 წლის წმინდა მოგება . . . . . . | 6741 | 80 |
| XIV. 1900 მოგებისა და ზარალის ანგარიში . . . . | 150 | — |
| სულ | 357329 | 01 |
| პასუხის-მგებლობა 776 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა . . . . . . . . . | 722034 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება. | 4900 | — |
| თამასუქები საკომისიოდ . . . . . . . . | 818 | 40. |

(1—6.—1)